საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

N 01/124
19/03/2025

124-01-2-202503191642

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ევა გოცირიძის თანმხვედრი აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 7 მარტის №3/4/1693, 1700 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

კოლეგებისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, გამიჭირდა დავთანხმებოდი სარჩელში დაყენებული საკითხების იმგვარად გააზრებას, როგორსაც სასამართლოს უმრავლესობამ დაუჭირა მხარი №3/4/1693,1700 გაერთიანებულ კონსტიტუციურ სარჩელებზე მიღებულ გადაწყვეტილებაში. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, გამოვთქვამ თანმხვედრ აზრს 2025 წლის 7 მარტის ზემოხსენებულ გადაწყვეტილებასთან (შემდგომში „გადაწყვეტილება“) დაკავშირებით.

1. გასაჩივრებული ნორმები და სასამართლოს გადაწყვეტილება

№1693 და №1700 კონსტიტუციური სარჩელებით სადავოდ იყო გამხდარი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ცალკეული ნორმები. კერძოდ, №1693 კონსტიტუციურ სარჩელზე დავის საგანს წარმოადგენდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის მე-2 პუნქტისა (2024 წლის 12 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია), ისევე როგორც, დასახელებული ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა.

საქართველო, ბათუმი,
6010, კ. გამსახურდიას ქ. №8-10,
ტელ.: (+995422) 27 00 99
ფაქსი: (+995422) 27 42 10
E-mail: const@constcourt.ge
www.constcourt.ge

Batumi, Georgia
8 – 10, K. Gamsakhurdia Str., N 6010
Tel. (+995422) 27 00 99
Fax: (+995422) 27 42 10
E – mail: const@constcourt.ge
www.constcourt.ge

№1700 კონსტიტუციური სარჩელით მოსარჩელე სადავოდ ხდიდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების - „სხვა ობიექტური გარემოება“ (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და მე-2 პუნქტის (2024 წლის 12 ივნისამდე მოქმედი რედაქცია); „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებისა და მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებების, ისევე როგორც, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის მე-2 პუნქტი (2024 წლის 12 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) ადგენდა მოსამართლის თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების წესს, ხოლო, ამავე მუხლის პირველი პუნქტის (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) სადავო სიტყვები „სხვა ობიექტური გარემოების“ არსებობას მიიჩნევდა მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების ერთ-ერთ საფუძვლად. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლი (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) განსაზღვრავდა საქმეთა განხილვისაგან მოსამართლის ჩამოცილების წესს და აწესრიგებდა ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცედურას. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტი (2023 წლის 27 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) დისციპლინურ გადაცდომად აცხადებდა მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოთქმას პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის აშკარა დარღვევით.

№1693 და №1700 კონსტიტუციური სარჩელის ავტორებს საქმეზე სადავოდ გამხდარი რეგულაციები არაკონსტიტუციურად მიაჩნდათ საქართველოს კონსტიტუციის რიგ დებულებებთან მიმართებით. მათი პოზიციით, სადავო ნორმების მოქმედების პირობებში ირღვეოდა შემდეგი კონსტიტუციური უფლებები: I. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი, მე-2 პუნქტები (აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება; ინფორმაციის თავისუფლად მიღების/გავრცელების უფლება); II. ამავე მუხლის მე-5 პუნქტი (გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები); III. 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება (საჯარო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უფლება) და IV. 31-ე მუხლის პირველი პუნქტი (სამართლიანი სასამართლოს უფლება). ამდენად, მოსარჩელე მხარეს, რომელსაც

წარმოადგენდნენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეები და სახალხო დამცველი მიაჩნდათ, რომ მათ მიერ გაპროტესტებული ნორმები ეწინააღმდეგებოდა მოსამართლის თანამდებობის კონსტიტუციით დაცული სტანდარტებით განხორციელების უფლებას, მოსამართლის აზრის/გამოხატვის თავისუფლებასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

წინამდებარე საქმის ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე გადასაწყვეტად იდგა სამი განსხვავებული საკითხი, რომლებიც სხვადასხვა სადავო ნორმებით წესრიგდებოდა. კონსტიტუციურობის თვალსაზრისით შესაფასებელი საკითხების სპექტრი იყო შემდეგი: I. თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინების მექანიზმი; II. მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული პროცედურული ასპექტები და III. მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევის დისციპლინური გადაცდომის სახედ გამოცხადების პრიზმაში. ჩემი თანმხვედრი აზრი უკავშირდება ზემოაღნიშნულ პირველ და მესამე საკითხებს.

მოსამართლის თანხმობის გარეშე მივლინების კონსტიტუციურობის შეფასებისას, სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო მოწესრიგების გონივრული განმარტების პირობებში იგი არ წარმოშობდა ამ მექანიზმის ბოროტად გამოყენების რისკებს და საკუთრივ ეს რისკებიც სათანადოდ დაზღვეული იყო არსებული საკანონმდებლო წესრიგის პირობებში. ამდენად, თანხმობის გარეშე, მოსამართლის ერთი სასამართლოდან სხვა სასამართლოში მივლინების სადავოდ გამხდარი საფუძველი და პროცედურა არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებისა და 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.

მოსამართლის მიერ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის აშკარად დარღვევის დისციპლინურ გადაცდომად მიჩნევის („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტი) კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას, სასამართლომ ორი საკითხი გამიჯნა ერთმანეთისგან. სასამართლომ ერთი მხრივ დაადასტურა, სადავო ნორმის განჭვრეტადი ბუნება და მისი თავსებადობა კანონის ხარისხობრივ მოთხოვნებთან, მეორე მხრივ, ასევე მიიჩნია, რომ სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა აკმაყოფილებდა თანაზომიერების მოთხოვნებს. კერძოდ, გასაჩივრებული რეგულაცია მოსამართლეს აბსოლუტურ განზომილებაში და ბლანკეტურად არ უხშობდა პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლებას. დისციპლინურ დარღვევად კვალიფიცირდებოდა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის მხოლოდ აშკარა დარღვევა. თავის მხრივ, პოლიტიკური გამოხატვის იმ სეგმენტის შეზღუდვა, რასაც მიემართებოდა საქმეზე სადავოდ გამხდარი წესი ნაკარნახევი

იყო ისეთი მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების მიღწევის მოტივით, როგორიცაა მოსამართლის მიუკერძოებლობის პრინციპისა და სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული რეგულაციის მოქმედების პირობებში არ ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

ჩემი თანმხვედრი აზრი შეეხება კერძოდ შემდეგ სამ საკითხს:

- **რამდენად რელევანტური და საკმარისია თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების კონსტიტუციურობის განხილვა კონსტიტუციის 25-ე მუხლის კონტექსტში;**
- **შეიძლება თუ არა კონსტიტუციის 25-ე მუხლთან მიმართებაში ნორმის კონსტიტუციურობის დადასტურებას დაეფუძნოს მისი კონსტიტუციურად მიჩნევა დამოუკიდებელი სასამართლოს უფლებასთან მიმართებაში კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის გაგებით;**
- **როგორ უნდა დასაბუთდეს მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მათი პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად.**

2. თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების კონსტიტუციურობის განხილვა კონსტიტუციის 25-ე მუხლის კონტექსტში

სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა **სასამართლოში მივლინება წარმოადგენდა „მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებაში ინტენსიურ ჩარევას“** (კონსტიტუციის 25-ე მუხლის გაგებით), რის გამოც, ეს შეზღუდვა მკაცრად უნდა შეფასებულიყო (იხ. სამოტივაციო ნაწილის 33-ე პუნქტი).

თავიდანვე აღვნიშნავ, რომ საზოგადოდ, ვეთანხმები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ მიდგომას, რომლის თანახმადაც, საჯარო სამსახურში შეუფერხებელი საქმიანობის პირობები საქართველოს კონსტიტუციის სწორედ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით უნდა გადამოწმდეს.[1] ასევე ვიზიარებ აზრს, რომ საჯარო სამსახურში დაკავებული თანამდებობის საფუძველზე საქმიანობის გაგრძელებისა და თანამდებობიდან უსაფუძვლო გათავისუფლებისაგან დაცვა, მათ შორის, მოსამართლესთან მიმართებაში, არსებული კონსტიტუციური რეგულირების ფარგლებში,

[1] იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

პირობითად, შეიძლება ვიგულვოთ კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ უფლებათა შორის (რათა მოსამართლე, მოცემულ კონსტიტუციური წესრიგის პირობებში, არ დარჩეს ქმედითი მისაგებლის გარეშე მისი უსაფუძვლოდ გათავისუფლების შემთხვევაში), თუმცაღა იმ დათქმით, რომ ისინი არ წარმოადგენს სუბიექტურ უფლებებს და რომ მხოლოდ კონსტიტუციის მე-6 თავის შესაბამის ნორმებთან ერთობლიობაში შეფასება იქნება სწორი და გონივრული. რაც შეეხება თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინების საკითხს, ვფიქრობ, იგი არსებული კონსტიტუციური მოწესრიგების ფარგლებშიც არ არის გადამოწმებადი ამ მუხლის საფუძველზე რამდენიმე გარემოების გამო, რომლებიც უკავშირდება როგორც კონსტიტუციური ნორმების ერთმანეთთან მიმართებაში გააზრებას, ისე საკითხის სპეციფიკას.

ა) მიმაჩნია, რომ **როდესაც საქმე შეეხება მოსამართლეს, მისი „სამსახურის პირობები“, ,კონსტიტუციის 25-ე მუხლის საფუძველზე კი არ უნდა განიმარტებოდეს, რომელიც ყველა ტიპის საჯარო სამსახურში დასაქმებულს ეხება, არამედ, სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული კონსტიტუციური ნორმების საფუძველზე, რომლებიც სასამართლო ხელისუფლებისათვის მიძღვნილ მე-6 თავშია განთავსებული.** საქმე ისაა, რომ მოსამართლის თანამდებობის განსაკუთრებულობა და ის როლი, რომელსაც ის ასრულებს დემოკრატიულ საზოგადოებაში, იმდენად მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოა, რომ ამ როლის უზრუნველსაყოფად „სამსახურის პირობებიც“, (რომელზედაც კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებაშია საუბარი), სრულიად განსაკუთრებულია. ვფიქრობ, გამართლებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ მოსამართლესთან მიმართებაში „საჯარო სამსახურის პირობები“, რომელიც გონივრული და სამართლიანი უნდა იყოს, უწინარესად, სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიებია და მასთან დაკავშირებული პრინციპები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც საკუთრივ კონსტიტუციითვე არის გაწერილი. სწორედ ამ თვალსაზრისით, სასამართლოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ნორმები, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს ერთგვარ დაკონკრეტებას კონსტიტუციის 25-ე მუხლის ცნებისა - „სამსახურის პირობები“, რომელიც, ამ მუხლის ფართო კონტექსტში ყველა საჯარო სამსახურს მიემართება. შესაბამისად, მოსამართლის „სამსახურის პირობების“ გააზრებისას, ვფიქრობ, უწინარესად, კონსტიტუციის იმ ნორმებს უნდა დავეყრდნოთ, რომლებიც უშუალოდ მოსამართლეს და მისი სამსახურის პირობებს შეეხება. მხედველობაში მაქვს კონსტიტუციის მე-6 თავში განთავსებული ნორმა-პრინციპები, რომლებიც სასამართლოსა და მოსამართლის დამოუკიდებლობას ამკვიდრებს, აგრეთვე ის ნორმები, რომლებიც მოსამართლის პროფესიაში შესვლას, თანამდებობაზე დანიშვნასა და გათავისუფლებას,

თანამდებობაზე ყოფნის ვადას, მის იმუნიტეტს და სხვა პირობებს შეეხება, და რომლებიც სწორედ ამ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას ემსახურება. კერძოდ, მხედველობაშია: კონსტიტუციის 59-ე მუხლი, რომელიც აცხადებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას; 63-ე მუხლი, რომელიც აწესებს ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას და კრძალავს მის საქმიანობაში ჩარევასა და ზეგავლენას (პირველი პუნქტი); ადგენს მოსამართლის ხელშეუხებლობას, მის იმუნიტეტს (მე-2 პუნქტი); სახელმწიფოს ავალდებულებს მოსამართლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფას (მე-3 პუნქტი); კრძალავს მისი საქმისგან ჩამოცილებას, თანამდებობიდან გათავისუფლებას ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანას რაიმე სხვა გზით, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა; აწესებს მოსამართლის შეუცვლელობას და კრძალავს სასამართლოს რეორგანიზაციისა თუ ლიკვიდაციის მიზნით მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებას (მე-5 პუნქტი); ადგენს მოსამართლის პროფესიაში შესვლის პირობებს, თანამდებობაზე განწესების წესსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (მე-6 პუნქტი).

კონსტიტუციის მე-6 თავით გათვალისწინებულ შესატყვის ნორმათა უპირატესი გათვალისწინების საჭიროება 25-ე მუხლის ფარგლებში ზოგად მიდგომებთან შედარებით, მხოლოდ რეგულირების საგნის კონკრეტულობას კი არ ეფუძნება, არამედ მის განსაკუთრებულობას. ისედაც არ იქნება სწორი, რომ მოსამართლის კონსტიტუციური თანამდებობა და მისი სამსახურის პირობები გაუთანაბრდეს სხვა საჯარო სამსახურს და მის პირობებს იმ გაგებით, რომ საერთო მიდგომები გავრცელდეს მოსამართლეებისა და საჯარო სამსახურის ყველა სხვა წარმომადგენლების მიმართ, ვინც კონსტიტუციის 25-ე მუხლის რეგულირების ქვეშ ხვდება. ერთგვაროვანი მიდგომები, შესაძლოა, მრავალ შემთხვევაში ისედაც არ აღმოჩნდეს გონივრული და გამართლებული. ვფიქრობ, მოსამართლის მიმართ „სამსახურის პირობები“ გაცილებით მაღალი სტანდარტით უნდა ფასდებოდეს საჯარო სამსახურში სხვა დასაქმებულებთან შედარებით, მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე არ შეეხება კონსტიტუციურ თანამდებობებს, რომელთა „სამსახურის პირობების“ გარკვეული საფუძვლები კონსტიტუციით არ არის დადგენილი.

ამგვარად, მართებული იქნება, თუკი საკონსტიტუციო სასამართლო დაამკვიდრებს მიდგომას, რომ როდესაც საქმე შეეხება მოსამართლეს, **როგორც საჯარო მოსამსახურეს, კონსტიტუციის 25-ე მუხლით ნაგულისხმები „სამსახურის პირობების“ შინაარსი ვიწროდ და მიზანმიმართულად განმარტოს სწორედ კონსტიტუციის მე-6 თავის ზემოაღნიშნული ნორმების მიხედვით, რამდენადაც ისინი კონკრეტულად აწესრიგებს სამოსამართლო საქმიანობის**

ძირითად პირობებს და ამ თვალსაზრისით, წარმოადგენს კერძო ნორმებს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებასთან მიმართებაში.

ბ) არ ვიზიარებ აზრს, რომ მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების საკითხი, მისი თანხმობით იქნება ეს თუ თანხმობის გარეშე, შეფასებადია კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების საფუძველზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება მისი თანხმობის გარეშე წარმოადგენდა საჯარო საქმიანობის/სამსახურებრივი უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელების შეზღუდვას და დაასაბუთა, რომ:

- ამ კონსტიტუციური უფლების (25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების გაგებით) შეზღუდვის შემთხვევები მხოლოდ პირის თანამდებობიდან გათავისუფლებით არ შემოიფარგლებოდა;
- თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანას მჭიდრო კავშირი ჰქონდა მოსამართლის შეუცვლელობის პრინციპთან;
- თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინება, მართალია, არ გულისხმობდა მართლმსაჯულების სისტემისგან მოსამართლის სრულად ჩამოცილებას, თუმცა ნების საწინააღმდეგოდ მისი გადაყვანა სხვა სასამართლოში, ნიშნავდა მისთვის როგორც სამუშაო ადგილის შეცვლას, ისე კონკრეტულ საქმეთა განხილვისაგან მის ჩამოშორებას;
- ცალკე ამ გარემოებებზე მითითებაც კი საკმარისი იყო იმის საილუსტრაციოდ, რომ თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება წარმოადგენდა მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებაში ინტენსიურ ჩარევას, რის გამოც ეს შეზღუდვა მკაცრად უნდა შეფასებულიყო.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ამ უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირებისას, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ის გარემოებაც, რომ ხანგრძლივი პერიოდით (3 წლამდე) მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება ნიშნავდა მისი ცხოვრების წესის მნიშვნელოვან ცვლილებას, რასაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი და აუცდენელი თანმდევი გავლენა ჰქონოდა მის ყოველდღიურ ცხოვრებასა და აკადემიურ საქმიანობაზე. საბოლოო ჯამში, მოსამართლეთა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინება და, შესაბამისად, ამ მივლინების საფუძვლისა და განხორციელების წესის მომწესრიგებელი სადავო ნორმები მნიშვნელოვნად ზღუდავდა მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების

უფლებას და ექვემდებარებოდა მკაცრ კონსტიტუციურსამართლებრივ შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების ფარგლებში (იხ. სამოტივაციო ნაწილი, 29-36-ე პუნქტები).

ვფიქრობ, მოცემულ შემთხვევაში **არ გვაქვს საქმე საჯარო სამსახურის დაუბრკოლებლად განხორციელების უფლებაში ჩარევასთან, და მით უმეტეს, სერიოზულ ჩარევასთან,** რაც მკაცრი ტესტით უნდა შეფასდეს. საკითხი აქტუალურია სასამართლოს დამოუკიდებლობის ჭრილში. თუმცა, როგორც კონსტიტუციის 25-ე მუხლთან, ისე სასამართლოს დამოუკიდებლობის ნორმებთან მიმართებაში ის, შეიძლება შეფასებულიყო **მხოლოდ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების ჭრილში.**

ჯერ ერთი, მივლინების გამო, განსახილველი საქმეებისაგან ჩამოცილება და ახალი საქმეების გადაცემა შესაბამისი სასამართლოს ქვემდებარეობის წესების დაცვით, თავისთავად არ გულისხმობს „მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებაში ჩარევას და, მით უმეტეს, ინტენსიურს.“ ნებაყოფლობითი მივლინებაც შეიძლება გულისხმობდეს გარკვეულ საქმეთა განხილვისაგან მოსამართლის ჩამოცილებას და გამოდის, ასეთ დროსაც ხდება „მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებაში ინტენსიურ ჩარევა.“ გარდა ამისა, კონსტიტუციის 25-ე მუხლის კონტექსტში ისედაც რთულია ვისაუბროთ მოსამართლის ან სხვა საჯარო მოხელის რაიმე მეტად თუ ნაკლებად გარანტირებულ უფლებაზე, რომ მან განიხილოს და გადაწყვიტოს რომელიმე კონკრეტული საქმე თუ საკითხი. მთავარია, არ დაირღვეს კანონიერი სასამართლოს/მოსამართლის პრინციპი. აქაც ის წარმომიდგენია, რომ არ არსებობს კონკრეტულ სასამართლოში საქმიანობის ძირითადი უფლება კონსტიტუციის მე-2 თავის ფარგლებში.

მეორე, გამართლებულად არ მესახება, რომ სხვა სასამართლოში მივლინება მოსამართლის შეუცვლელობის პრინციპთან გავაიგივოთ ან არსებითად დავუკავშიროთ. **მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპი გულისხმობს მოსამართლის თანამდებობის შენარჩუნებას კანონით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე, მათ შორის, საპენსიო ასაკამდე,** ცხადია, თუკი საქმე არ შეეხება თანამდებობიდან გათავისუფლებას კანონიერი საფუძვლებისა და შესაბამისი პროცედურის წარმართვით დისციპლინური პასუხისმგებლობისა თუ იმპიჩმენტის ფარგლებში. მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება, თუნდაც მისი თანხმობის გარეშე, არ წარმოადგენს მოსამართლის შეუცვლელობის პრინციპის დარღვევას, რადგან მოსამართლე ინარჩუნებს თავის თანამდებობას, წოდებას, ყველა იმ პრივილეგიასა თუ დაცულობის გარანტიას, რომელიც

მოსამართლედ ყოფნას უკავშირდება და, რაც მთავარია, სამოსამართლო საქმიანობის სრულყოფილად გაგრძელების, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებასა და ვალდებულებას. სასამართლოს არგუმენტი, რომ მოსამართლის მივლინებას კავშირი აქვს მოსამართლის შეუცვლელობის პრინციპთან, არ არის საკმარისად წონადი, რომელიც მათთან მიმართებაში (თანხმობის გარეშე სხვა სასამართლოში მივლინება და სამოსამართლო უფლებამოსილების ვადამდე დაუსაბუთებელი შეწყვეტა) ერთგვაროვანი მიდგომების გამოყენებას გაამართლებდა.

მესამე, თავისთავად არ მიმაჩნია სწორად საჯარო საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების უფლების შეზღუდვის გამოხატულებად დასახელდეს სამუშაო ადგილის შეცვლის გამო მოსამართლის ცხოვრების წესისა და ყოველდღიური საქმიანობისა და ზოგიერთი პირადი უფლების შეზღუდვა. ვფიქრობ, სამუშაო ადგილის შეცვლის გამო ყოველდღიური ცხოვრების შეცვლა, თუნდაც პირად ცხოვრებაში წარმოქმნილი დისკომფორტი, ვერ გამოდგება საჯარო მოხელის, და მით უფრო მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების უფლებაში ჩარევის შინაარსობრივ გამოხატულებად. **პრინციპულად არ არის სწორი იმის თქმა, რომ მოსამართლის საქმიანობა ფერხდება ყოველდღიური ცხოვრების შეცვლის, ან მის პირად ცხოვრებასა თუ აკადემიურ საქმიანობაში წარმოქმნილი პრობლემების გამო.** მოსამართლის შეუფერხებელი საქმიანობის უფლება ირღვევა მხოლოდ ისეთი შეზღუდვებით, რაც მას სამსახურებრივ, სამოსამართლო საქმიანობაში უშლის ხელს.

მეოთხე, ძალზე ხელოვნური და ალოგიკური კონფიგურაცია ჩამოყალიბდა უფლების შეზღუდვასა და დასახულ ლეგიტიმურ მიზანს შორის: სასამართლომ დაადასტურა, რომ სახეზე იყო „სამოსამართლო საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელების უფლების შეზღუდვა“ და იმავდროულად გაიზიარა, რომ ამ შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდა „მართლმსაჯულების ეფექტიანი და ჯეროვანი განხორციელება“. საბოლოო ჯამში, მივიღეთ **სრულიად კონტრადიქტორული მოცემულობა. გამოდის, „სამოსამართლო საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელების უფლების შეზღუდვა“ ემსახურება „მართლმსაჯულების ეფექტიან და ჯეროვან განხორციელებას“.** ეს სწორი მიდგომა ნამდვილად ვერ იქნება, რადგან ყოველი ცალკეული მოსამართლის საქმიანობა მართლმსაჯულების სისტემის ნაწილია და მისი შეფერხება მთელი მართლმსაჯულების სისტემის შეფერხებას, მისთვის დიდი თუ მცირე ზიანის მიყენებას ნიშნავს. ხოლო პირიქით ვერასდროს მოხდება - კონკრეტული მოსამართლის სამოსამართლო საქმიანობის შეფერხება ვერ გახდება, თეორიული თუ პრაქტიკული გაგებით, ვარგისი საშუალება მართლმსაჯულების

ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის; მოსამართლის საქმიანობის შეფერხებით ამგვარი რამ ვერ იქნება მიზნად დასახული და, მით უფრო, მიღწეული.

მეხუთე, ვფიქრობ, უფლების დარღვევის შინაარსიც წინააღმდეგობრივად არის გაგებული თუ განმარტებული. საქმე შეეხება სადავო რეგულაციის შემოწმებას კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების იმ შინაარსთან მიმართებაში, რომელიც გულისხმობს, რომ კანონმდებლობით დაწესებული საჯარო სამსახურის პირობები გონივრული და სამართლიანი უნდა იყოს. ეს, თავისი არსით, გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს ასეთი პირობები (რათა ეფექტიანად იქნეს დაცული „საჯარო სამსახურში ნებისმიერი თანამდებობის დაკავების უფლება“). ამდენად, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება მაშინ ირღვევა, როდესაც ასეთი პირობები შესრულებული არ არის. ამის საპირისპიროდ, სასამართლომ მსჯელობა პოზიტიური ვალდებულების შესაძლო დარღვევის კონტექსტში კი არ წარმართა, არამედ დაადგინა, რომ საქმე შეეხებოდა „სამოსამართლო საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელების უფლების შეზღუდვას“, ანუ სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიური ვალდებულების დარღვევას. ასე რომ, თუნდაც 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების ჭრილში, რომელიც საჯარო სამსახურის სამართლიან და გონივრულ პირობებს გულისხმობს, **საქმე მხოლოდ პოზიტიურ ვალდებულებათა ჭრილში შეიძლებოდა შეფასებულიყო და არა იმ თვალსაზრისით, შეიზღუდა თუ არა კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გარანტირებული უფლება.** კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე - 2 წინადადება მხოლოდ პოზიტიურ ვალდებულებების გამომხატველია, რომელთა შესრულებამაც ეფექტიანი უნდა გახადოს პირველი წინადადებით გაცხადებულ უფლებათა დაცვა. ასეთივეა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომაც. იგი პოზიტიურ ვალდებულებათა ჭრილში აფასებს საკითხს, თუ რამდენად ითვალისწინებს საკითხის მოწესრიგებისას კანონმდებელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ პროფესიული მოხელეობის ტრადიციულ პრინციპებს (იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1961 წლის 24 იანვრის -- 2 BvR 74/60 -- განჩინება).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ არანებაყოფლობითი მივლინების **საკითხი არ არის შეფასებადი კონსტიტუციის 25-ე მუხლის ჭრილში, ვინაიდან საქმეთაგან ჩამოცილებისა თუ ცხოვრების წესის შეცვლის არგუმენტები საკმარისი არ არის არც საჯარო სამსახურის დაუბრკოლებლად განხორციელების უფლებაში ჩარევის აღიარებისათვის კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი**

პუნქტის პირველი წინადადების გაგებით და არც პოზიტიური ვალდებულებების დარღვევად მიჩნევისათვის ამავე მუხლის ამავე პუნქტის მე-2 წინადადების გაგებით. თუმცა ყოველივე ზემოთქმული არ გულისხმობს იმას, თითქოს თანხმობის გარეშე მოსამართლის მოვლინების საკითხი საერთოდ არ არის აქტუალური. ეს საკითხი, საზოგადოდ, რელევანტურია სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის ჭრილში, რაც კონსტიტუციის მე-6 თავის შესაბამისი ნორმებით არის უზრუნველყოფილი.

3. სკეპტიციზმის ზოგიერთი დამატებითი არგუმენტი

აქვე მსურს წარმოვადგინო ჩემი ზოგიერთი ეჭვები იმასთან დაკავშირებით, საერთოდ, რამდენად საჭირო და გონივრულია, რომ მოსამართლესთან დაკავშირებული „სამსახურის პირობები“, გარდა განწესებასთან და გათავისუფლებასთან დაკავშირებული უფლებრივი კომპონენტებისა, აუცილებლად მოიაზრებოდეს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების შინაარსში. საქმის განხილვის გამწესრიგებელ ეტაპზე, მხარი დავუჭირე სადავო ნორმების 25-ე მუხლთან მიმართებაში მიღებას. ამ მუხლს განვიხილავდი ერთადერთ საშუალებად იმისა, რომ ამა თუ იმ საკანონმდებლო რეგულაციით თავისი დამოუკიდებლობის და სხვა უფლებების სავარაუდო შელახვა მოსამართლეს თავად გაესაჩივრებინა საკონსტიტუციო სასამართლოში და არ ყოფილიყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმედად, რომელსაც კონსტიტუციის მე-6 თავით გათვალისწინებულ დებულებებთან მიმართებით შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა (აბსტრაქტული ნორმათკონტროლის პირობებში).

თუმცა, საქმის არსებითი განხილვის შემდეგ, ჩემთვის მეტი ლეგიტიმურობა შეიძინა კითხვამ - მოსამართლის თანამდებობის განსაკუთრებულობისა და მისი „სამსახურის პირობების“ უმთავრესი პრინციპების კონსტიტუციითვე მოწესრიგებულობის ფაქტორი ხომ არ ზღუდავს მნიშვნელოვნად კონსტიტუციის 25-ე მუხლის გამოყენებადობის ფარგლებს და მასთან ერთად, მოსამართლის მხრიდან ადამიანის ძირითადი უფლების დარღვევის საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას ზოგიერთ შემთხვევაში, მათ შორის მივლინებების საკითხზე, რომლის კომპენსაციაც, გასაჩივრების ქმედითი საშუალების უზრუნველყოფის გაგებით, სხვა გზით უნდა მოხდეს.

საკითხის ამგვარად დასმა, თავის მხრივ, წამოჭრის შემდეგ საკითხს - შეიძლება თუ არა საერთოდ, ინდივიდუალური მოსამართლის უფლება, იდავოს მისი სამსახურის არაგონივრულ პირობებზე, განვიხილოთ როგორც ადამიანის

ძირითადი უფლება. თუ აზრთა ბუნებრივ მდინარებას გავყვებით, შემდეგ საკითხამდეც კი მივალთ: შეიძლება თუ არა ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობა იმავდროულად მივიჩნიოთ მოსამართლედ მომუშავე პირის ადამიანის ძირითად უფლებად (კონსტიტუციის მე-2 თავის გაგებით), რომლის სუბიექტიც არის მხოლოდ მოსამართლედ მომუშავე პირი.

იმ რეგულაციების შეფასება, რომლებიც აწესრიგებს მოსამართლედ განწესების შემდგომ „სამსახურის პირობებს", მაგალითად, შეზღუდვებისა, რომლებიც შეეხება მოსამართლის კარიერული დაწინაურების პირობებს, თანამდებობიდან გათავისუფლებას, ან დროებით გადაყენებას, სამოსამართლო საქმიანობისაგან ჩამოცილებას, იმუნიტეტის მოხსნას, საქმეებისგან ჩამოშორებას და სხვა მსგავს საკითხებს, ჩემი აზრით, ნაკლებად აქტუალურია კონსტიტუციის 25-ე მუხლის საფუძველზე და არსებული კონსტიტუციური მოწესრიგების ფარგლებში მხოლოდ იმ თვალსაზრისით ინარჩუნებს აქტუალურობას, რომ მოსამართლე არ დარჩეს დაუცველი უფრო შესატყვისი რეგულაციების ჩამოყალიბებამდე, რომელსაც მოსამართლე გამოიყენებს მისი როგორც მოსამართლის უფლებების დასაცავად. არსებითად, ზემოაღნიშნული შეზღუდვები შეეხება პირს, როგორც მოსამართლეს, და არა პირს, როგორც ადამიანს, სუბიექტს. კიდევ უფრო რთულია მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების საკითხის (მისი თანხმობის გარეშე თუ ინსტანციურობის დაუცველად) ძირითად უფლებათა პრიზმაში განხილვა. **გამოდის, უნდა ვაღიაროთ ადამიანის ძირითადი უფლება, მოსამართლედ არჩევის შემთხვევაში არ იყოს მივლინებული სხვა სასამართლოში მისი ნების საწინააღმდეგოდ.** რთულია იგი ცალკე ძირითად „უფლებად" მივიჩნიოთ ანდა განვიხილოთ როგორც მოსამართლის თანამდებობის დაკავების ან ამ თანამდებობაზე სამსახურის გაგრძელების (კონსტიტუციის 25-ე მუხლის გაგებით) ძირითადი უფლების განუყოფელი შემადგენელი კომპონენტი, ანდა, თუნდაც როგორც ამ უფლების ერთგვარი გაგრძელება და შემავსებელი. თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების საკითხი, მათ შორის, ინსტანციურობის დაცვით თუ დაუცველად, სასამართლოს დამოუკიდებლობის პრიზმაში არის აქტუალური და მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ადამიანის ძირითად უფლებათა პრიზმაში, რადგან ადამიანის ასეთი ძირითადი უფლება - მოსამართლედ მუშაობის დროს არ დაექვემდებაროს არანებაყოფლობით მივლინებას - ვფიქრობ, არ არსებობს.

ასევე, რთულად წარმომიდგენია, რომ მივლინებით გამოწვეული ცვლილებები - საცხოვრებელი ადგილის დროებით შეცვლა იქნება ეს, მივლინების ადგილზე აკადემიური/პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელების შეუძლებლობა თუ სირთულე ანდა, პირად და ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებული

ცვლილებები, მაგალითად, მეუღლის და არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებლის, სამუშაო ადგილის თუ სასწავლო დაწესებულების შეცვლით გამოწვეული დისკომფორტი ან სირთულეები მოსამართლის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევად განიხილებოდეს. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ მიუთითა: „...თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მოსამართლის უფლებრივ მდგომარეობაზე, მაგალითად, მის სამუშაო გარემოზე, პირად ცხოვრებაზე, მის მიმართ თანასწორ მოპყრობაზე და ა.შ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კი ისევე როგორც ნებისმიერი სახელმწიფო ორგანო, შებოჭილია ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით და იგი არ არის უფლებამოსილი საკუთარი ფუნქცია განახორციელოს ამ უფლებათა დაუსაბუთებელი შეზღუდვის ხარჯზე“ (იხ. სამოტივაციო ნაწილის 63-ე პუნქტი). მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ორივე დებულება (რომ მივლინებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსამართლის პირად ცხოვრებაზე და რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო შებოჭილია ადამიანის ძირითადი უფლებებით) თავისთავად სავსებით მართებულია, მოსამართლის მივლინების კონტექსტში ისინი იმ მიდგომას გამოხატავს, რომ მოსამართლის მივლინების საკითხი ძირითადი უფლებების კონტექსტში უნდა იქნეს შეფასებული. ადამიანის სუბიექტურ უფლებათა ჭრილში საკითხების ხედვის რელევანტურობის ხარისხის გააზრებისათვის შემდეგი საკითხიც იძლევა დაფიქრების საფუძველს. როგორც ზემო ციტირებიდანაც ჩანს, სასამართლომ აქცენტი გააკეთა თანასწორი მოპყრობის უფლებაზეც (როდესაც მივლინებაზე თანხმობას არავინ გამოთქვამს და იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეარჩევს მოსამართლეს, ვინც მისი თანხმობის მიუხედავად შეიძლება იქნეს მივლინებული). ამ პროცედურის დროს მივლინებულ მოსამართლეს მართლაც შეიძლება გაუჩნდეს განცდა, რომ იგი დაჩაგრეს და ეს განცდა არც იყოს უსაფუძვლო. მაგრამ განა გამართლებული იქნება მან სასამართლოს წინაშე იდავოს და ამტკიცოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება არის დისკრიმინაციული კონსტიტუციის მე-11 მუხლის გაგებით, მაშინ როდესაც არათანასწორი მოპყრობა სწორედ ძირითად უფლებებთან მიმართებაში უნდა გამოავლინოს სახელმწიფომ? თუ მაინც ამ გზას გავყვებით, მაშინ ცხადად უნდა წარმოვიდგინოთ, კერძოდ რომელ უფლებასთან მიმართებაში ჩაიდინა სახელმწიფომ უთანასწორო მოპყრობა? რა ჰქვია ამ უფლებას - მოსამართლის უფლება, არ იყოს მივლინებული თანხმობის ან საკმარისი დასაბუთების გარეშე?

ამგვარად, კარგად უნდა იქნეს გააზრებული, შეიძლება თუ არა ეს „უფლებები“ განვიხილოთ, როგორც „ადამიანის ძირითადი უფლებები“ (კონსტიტუციის მე-2 თავის გაგებით); შეიძლება თუ არა ინდივიდუალური მოსამართლის

დამოუკიდებლობა იმავდროულად იქნეს მიჩნეული მოსამართლედ მომუშავე პირის ადამიანის ძირითად უფლებად (კონსტიტუციის მე-2 თავის გაგებით), თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები, ყველა ადამიანზე ვრცელდება, აქ კი ამ უფლებით მოსარგებლე სუბიექტი მხოლოდ მოსამართლედ მომუშავე პირია. თანაც, მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის სიკეთით მოსარგებლე საკუთრივ ეს მოსამართლე კი არ არის, არამედ მთელი საზოგადოება და იმ საქმეთა მხარეები, რომელთა საქმესაც მოსამართლე იხილავს და მომავალში განიხილავს. **ვფიქრობ, დამოუკიდებლობა, არ არის მოსამართლის სუბიექტური უფლება, რადგან იგი მას ეკუთვნის როგორც მოსამართლეს, და არა როგორც ადამიანს.** საგულისხმოა, რომ თითქმის **ასეთივეა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ხედვა.** მისი თანმიმდევრული პრაქტიკის მიხედვით, მოსამართლის დამოუკიდებლობა არ წარმოადგენს ინდივიდუალური, სუბიექტური ხასიათის ძირითადი უფლებას და არც ძირითადი უფლების მსგავს უფლებას (იხ. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1969 წლის 14 ნოემბრის - 1 BvR 253/68 - განჩინება, ველის ნომერი - 15; იხ. ასევე უახლესი პრაქტიკა 2021 წლის 23 ნოემბრის - 2 BvR 1473/20 - განჩინება, ველის ნომერი - 18). აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლეთა დავები დამოუკიდებლობის თაობაზე მოწმდება სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის დამფუძნებელ იმ ნორმასთან/ნორმებთან ერთობლიობაში, რომლებიც სასამართლო ხელისუფლებისათვის მიძღვნილ თავშია განთავსებული[2] (იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 ნოემბრის - 2 BvR 1473/20 - განჩინება და 2006 წლის 22 ივნისის - 2 BvR 957/05 - განჩინება).

ამიტომაც, ვფიქრობ, ლეგიტიმური საფუძველი აქვს მოსაზრებას, რომ, საერთოდ, მოსამართლის სამსახურებრივი შეზღუდვები და მოვალეობები ინდივიდუალურ უფლებათა ჭრილში კი არ უნდა იქნეს შეფასებული, არამედ მხოლოდ ან უმთავრესად, სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის ჭრილში ანდა მასთან ერთობლიობაში.

მოცემულ სადავო ნორმასთან მიმართებაშიც, ნათელია, რომ სწორედ ინდივიდუალური დამოუკიდებლობის პრიზმაში არის აქტუალური იმის

---

[2] კერძოდ, მოსამართლის დამოუკიდებელი საქმიანობის უფლების დარღვევა ფასდება ფედერალური კონსტიტუციის 33-ე მუხლი მე-5 პუნქტისა (რომელიც საჯარო სამსახურის პროფესიული მოხელეობის ტრადიციული პრინციპების გათვალისწინებას მოითხოვს და არ არის განთავსებული ადამიანის ძირითად უფლებათა თავში) და კონსტიტუციის 97-ე მუხლის (რომელიც სასამართლოს დამოუკიდებლობას ითვალისწინებს და მოთავსებულია სასამართლო ხელისუფლების მომწესრიგებელ თავში) ერთობლიობაში, რა დროსაც წამყვანად განიხილება 97-ე მუხლი.

შეფასება, აყენებს თუ არა თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინება სადავო ნორმით გათვალისწინებულ პირობებში, ზიანს მის დამოუკიდებლობას არსებითად ანდა ინდივიდუალური, სუბიექტური აღქმადობის თვალსაზრისით; უზრუნველყოფს თუ არა შესაბამისი რეგულაცია მივლინების თაობაზე გადაწყვეტილებათა მიღებას მხოლოდ მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, ადგენს თუ არა სამართლიან ბალანსს მოსამართლის პირად ინტერესებსა და მართლმსაჯულების ეფექტიანობის ინტერესებს შორის; ადგენს თუ არა შესაბამისი რეგულაცია თვითნებობისაგან დამცავ გარანტიებს ანდა ამყოფებს თუ არა არანებაყოფლობითი მივლინების მოსალოდნელობა, მისი ვადა თუ პირობები მოსამართლეებს ისეთ მოწყვლად მდგომარეობაში, რომელიც მათ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაში შეუშლიდა ხელს მართლმსაჯულების ინტერესების საზიანოდ, და მას, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელ პირს, დამოკიდებულს გახდიდა იმ ორგანოზე/პირებზე, ვისაც მივლინების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ეკუთვნის. სწორედ ამ კონტექსტთან მიმართებაში უფრო რელევანტური იქნებოდა ის გამოკვლევები, რაც სასამართლომ განახორციელა: ვგულისხმობ იმის გადამოწმებას, თუ როგორია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა მივლინების თაობაზე არსებული პრაქტიკა, მათ შორის, არანებაყოფლობითი მივლინებების საჭიროების წარმოშობის სიხშირე, რეგულაციის ბოროტად გამოყენების რისკები და სხვა რელევანტური გარემოებები. ზემოაღნიშნულ საკითხებზე სამართალმზომელობის გადატანა მოსამართლის ძირითად უფლებათა სიბრტყეში, ჩემი აზრით, მიზანსაცდენილი ძალისხმევაა, რომელიც იურიდიულად არ არის გამართლებული.

გარდა ამისა, როდესაც საკითხი მოსამართლის სამუშაო ადგილის არანებაყოფლობით ცვლილებას ეხება, ასეთ დროს, ლოგიკურია, რომ, თავდაპირველად ის საკითხი მოითხოვს პასუხის გაცემას, რამდენად გულისხმობს სასამართლოსა და მოსამართლის დამოუკიდებლობა კონკრეტულ ადგილზე მუშაობის გარანტირებულ უფლებას მთელი სამოსამართლო ვადის განმავლობაში. როგორც ვხედავთ, აქაც თვალსაჩინოდ გამოიკვეთა, რომ როგორც მივლინების არანებაყოფლობითობის, ისე, ზედა ინსტანციებიდან ქვედა ინსტანციებში მივლინების გამართლებულობა სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის ჭრილშია აქტუალური, ხოლო 25-ე მუხლთან კავშირი შორეულია, ნაკლებად რელევანტური და ამიტომ, ინტერესმოკლებულიც.

რაც შეხება იმ ლეგიტიმურ საზრუნავს, რომ მოსამართლეს, ვისაც მიაჩნია, რომ სასამართლოს მართვის ორგანომ (იუსტიციის, მართლმსაჯულების ან მაგისტრატურის საბჭო იქნება ის თუ სხვა) თვითნებურად გადაწყვიტა მისი

მივლინების ანდა სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხი, რითაც ზიანი მიაყენა მას როგორც მოსამართლეს, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელ პირს, მის სტატუსს, მისი როგორც მოსამართლის დამოუკიდებლობას ანდა დამოუკიდებლობის იმიჯს, უნდა გააჩნდეს ამ საკითხების, მათ შორის, სასამართლო წესით გასაჩივრების უფლება, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. ცხადია, საზოგადოდ, არ ვაყენებ ეჭვქვეშ, რომ მოსამართლეს აუცილებლად უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაასინჯვინოს ესა თუ ის რეგულაცია, რომელიც, მისი აზრით მოსამართლის დამოუკიდებლობას ზღუდავს. თუმცა ეს უნდა ხორციელდებოდეს არა ადამიანის ძირითად, ინდივიდუალურ უფლებებთან მიმართებაში, არამედ მოსამართლის სტატუსის, სასამართლოს ინსტიტუციური თუ მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის საერთო ჩარჩოს ფარგლებში. ამიტომაც ვფიქრობ, უფრო გონივრული იქნება, რომ ამგვარი „უფლება“ თუ შესაძლებლობა, საკუთრივ, სასამართლო ხელისუფლებისადმი მიძღვნილ თავში იქნეს სახელდებით გათვალისწინებული, რომელსაც მოსამართლე ყველა შესაბამის შემთხვევაში გამოიყენებს. მოსამართლეობასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობებთან მიმართებით კი ადამიანის ძირითად უფლებათა რანგში შეიძლება დარჩეს მხოლოდ ადამიანის უფლება, დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, მოსამართლის თანამდებობის ჩათვლით.

4. არანებაყოფლობითი მივლინება სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებაში (კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი)

1700-ე კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში, მოსარჩელე მხარის მიერ (სახალხო დამცველი) არანებაყოფლობით მივლინებასთან დაკავშირებული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა მოთხოვნილი იყო აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. მოსარჩელე სწორედ იმას უთითებდა, რომ თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინების არსებული მოდელი შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო მოსამართლეზე ზემოქმედების გზით, მის მიერ გადასაწყვეტ საქმეზე გავლენის მოსახდენად. მისი აზრით, ვინაიდან სადავო ნორმებით გათვალისწინებული საფუძველი და პროცედურა წარმოშობდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფრთხეს და არ შეიცავდა მოსამართლის უფლებების დაცვის საკმარის გარანტიებს, ეს ქმნიდა მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობისა და მისი დამოუკიდებლობის პრინციპების დარღვევის საფრთხეს. ამგვარი საფრთხის არსებობა კი საზოგადოებას უკარგავდა ნდობას სასამართლოს მიმართ და ლახავდა პირის

შესაძლებლობას, საკუთარი უფლებები და თავისუფლებები დაეცვა დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე. ამიტომაც, სადავო ნორმების საფუძველზე დადგენილი მივლინების მექანიზმი ვერ პასუხობდა სამართლიანი სასამართლოს უფლებით დადგენილ სტანდარტებს. სასამართლომ ამაზე უპასუხა, რომ ვინაიდან თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების მოქმედი მექანიზმი მან კონსტიტუციურად შეაფასა მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით და დადგინდა მისი თავსებადობა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებთან, **სასამართლო ვეღარ ხედავდა სადავო ნორმების საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით დამოუკიდებელი შეფასების საჭიროებას.**

ამგვარად, მოსარჩელე იმ საფუძვლით მოითხოვდა თანხმობის გარეშე მივლინებასთან დაკავშირებული ნორმების კონსტიტუციის 31-ე მუხლთან მიმართებაში არაკონსტიტუციურად ცნობას, რომ სადავო რეგულაციას შეუსაბამოდ მიიჩნევდა სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპთან, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების არსებითი კომპონენტს წარმოადგენს. შესაბამისად, სასამართლოს უარი კონსტიტუციის 31-ე მუხლთან მიმართებაში მხოლოდ იმ დასკვნაზე შეიძლებოდა ყოფილიყო დაფუძნებული, რომ სადავო რეგულაცია სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპებს არ ეწინააღმდეგებოდა, რაც, მხოლოდ კონსტიტუციის მე-6 თავის დებულებებთან მიმართებაში შეფასების გზით შეიძლებოდა განხორციელებულიყო, რომლებიც ამ ფუძემდებლურ პრინციპებს ამკვიდრებს, ცხადია, მათი სიღრმისეული განმარტებების შედეგად. მხოლოდ ასე იქნებოდა შესაძლებელი იმ დასკვნაზე გასვლა, რომ რეგულაცია საფრთხეს არ უქმნიდა დამოუკიდებელი სასამართლოს ძირითად უფლებას. კოლეგებმა კი სხვაგვარი ლოგიკური გზა აირჩიეს. მათი აზრით, დამოუკიდებელი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით რეგულაციის შემოწმების საჭიროება არ არსებობდა ვინაიდან, უკვე დადგენილი იყო, რომ იგი არ არღვევდა მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების უფლებას (კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების გაგებით). არადა, დასკვნა, რომ რეგულაცია მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების უფლებას არ არღვევს, არ ნიშნავს იმავდროულად იმასაც, რომ, ამის გამო რეგულაცია სრულ შესაბამისობაშია სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპებთან კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის ან 63-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების გაგებით, და მასთან ერთად, დამოუკიდებელი სასამართლოს ძირითად უფლებასთან.

ცალკე საკითხია იმის გააზრება, შეეძლო თუ არა სასამართლოს სადავო რეგულაცია სასამართლოს დამოუკიდებლობის ფუნდამენტურ პრინციპებთან მიმართებაში შეეფასებინა. იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელებით არ ყოფილა მოთხოვნილი (და ვერ იქნებოდა) არაკონსტიტუციურად ცნობა უშუალოდ სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის თაობაზე კონსტიტუციის მე-6 თავით გათვალისწინებულ ნორმებთან მიმართებაში. ვფიქრობ, ამ კონტექსტში შეეძლო, რადგან მოცემულ შემთხვევაში ეს წარმოადგენდა კონსტიტუციის 31-ე მუხლთან, კერძოდ, დამოუკიდებელი სასამართლოს უფლების ჭრილში საჩივრის საფუძვლიანობის გამოკვლევის ერთადერთ სწორ გზას, დასაბუთების სქემის ნაწილს და მის ერთ-ერთ ეტაპს. რაკი საკითხი დაყენებული იყო დამოუკიდებელი სასამართლოს უფლების კონტექსტში, ეს თემა უფრო სისხლხორცეულ გამოკვლევას მოითხოვდა. მხოლოდ იმ დასკვნას, რომ თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების მოქმედი მექანიზმი კონსტიტუციური იყო მოსამართლის საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით, არ შეიძლებოდა დაფუძნებოდა 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში სარჩელის შემოწმების საჭიროების არარსებობა.

ყოველივე ზემოთქმული არ გულისხმობს იმას, თითქოს სადავო ნორმებით დადგენილი მოსამართლის მივლინების ინსტიტუტი რეალური საფრთხის ქვეშ აყენებს სასამართლოს დამოუკიდებლობას და თითქოს იგი იმდენად ხარვეზიანია, რომ არაკონსტიტუციურობის ხარისხს აღწევს; მით უმეტეს იმას, რომ მასზე შეიძლება დამოუკიდებელი სასამართლოს უფლების დარღვეულობის პრეზუმფციაც აღმოცენდეს. ჩემი მოსაზრებები მხოლოდ საკითხთა გააზრებას, სისტემურ ხედვასა და დასაბუთების ლოგიკას შეეხება და წინააღმდეგობა არ მაქვს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილთან.

5. მოსამართლე და პოლიტიკური გამოხატვა (შეზღუდვის საფუძვლების დასაბუთება)

სადავო ნორმით მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დასაბუთება გადაწყვეტილებაში, მართებულად არის წარმოდგენილი და სრულიად ვიზიარებ ჩემი კოლეგების მოსაზრებებს შეზღუდვის აუცილებლობისა და თანაზომიერების საკითხზე. ამ ნაწილში ჩემი თანმხვედრი აზრი უკავშირდება ერთგვარი დანაკლისის გრძნობას, რაც გამოიწვია ამ სფეროში საერთაშორისო პრაქტიკისა და ნორმების გამოუყენებლობამ, რომელთა მომარჯვება უფრო დამარწმუნებელს გახდიდა გადაწყვეტილებას. ჩემი კრიტიკა აგრეთვე შეეხება ზოგიერთი არსებითი არგუმენტის გაუთვალისწინებლობას, და დებულებას,

თითქოს, ამ საკითხზე დემოკრატიულ საზოგადოებაში კონსენსუსი არ არსებობს და სახელმწიფოს შეფასების თავისუფლებას ფართო ფარგლები აქვს (იხ. სამოტივაციო ნაწილის 140-ე და 160-ე პუნქტები).

ა) **მოსამართლის პოლიტიკისაგან დისტანცირების თემაზე დემოკრატიულ საზოგადოებაში კონსენსუსის არარსებობისა და ამიტომ ამ სფეროში სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლების თაობაზე**

ჯერ ერთი, გაუგებარია, რასთან მიმართებაში შეფასების თავისუფლებაზეა საუბარი. შეფასების თავისუფლება ყოველთვის არსებობს რაიმე საერთაშორისო ხელშეკრულებასთან მიმართებაში, რომლითაც სახელმწიფოს აღიარებული აქვს კონკრეტული ვალდებულებები იმისა, რომ შესაბამისი საკითხები სწორედ ისე დაარეგულიროს, როგორც ამას ხელშეკრულება ავალებს. შეფასების თავისუფლებაზე საუბარი რელევანტური მაშინ არის, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულების მხრიდან ვალდებულებები მკვეთრი და დაკონკრეტებული არ არის, ანდა მიხედულობის გარკვეული თავისუფლება პირდაპირ ენიჭება ხელშეკრულების ხელმომწერ მხარეს ამა თუ იმ საკითხის დარეგულირებისა თუ მისი აღსრულების საკითხში. ვინაიდან გადაწყვეტილებაში არცერთი საერთაშორისო ხელშეკრულება ამ ნაწილში ნახსენები არ არის, გაუგებარი დარჩა, რა იგულისხმება მასში. თუკი სახელმწიფო არ არის მონაწილე შესაბამისი ვალდებულებების შემცველი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და საკითხი არც საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს შეეხება, ცხადია, სახელმწიფოს სუვერენიტეტიდან ისედაც გამომდინარეობს სრული დისკრეცია, ნებისმიერი საკითხი ისე დაარეგულიროს, როგორადაც მოესურვება.

მეორე, დებულება იმის შესახებ, რომ მოსამართლის პოლიტიკური თვითგამოხატვის შეზღუდვის თემაზე დემოკრატიულ საზოგადოებაში კონსენსუსი არ არსებობს, მართებული არ არის. პირიქით. ეს სწორედ ის საკითხია, რომელსაც დიდი ყურადღება ექცევა დემოკრატიულ ქვეყნებში და ნამდვილად არსებობს ერთიანი ხედვა და მიდგომები. მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტის, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და მათდამი ხალხის ნდობის შენარჩუნების მიზნით, საყოველთაო მიდგომაა დემოკრატიულ ქვეყნებში და ამ სფეროში არსებობს კარგი ნორმატიული განვითარება და შესაბამისი პრაქტიკა. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მის საფუძველზე შექმნილი იურისპრუდენცია, ევროპული კომისია დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია), ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, მოსამართლეთა ქცევის შესახებ

ბანგალორის პრინციპები, მათზე უამრავი კომენტარი, სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტები, ისევე როგორც, მოსამართლეთა პროფესიული/სამოსამართლო ქცევისა თუ სამოსამართლო ეთიკის ეროვნული კოდექსები არა მარტო განმარტავს მოსამართლეთა პოლიტიკური გამოხატვის შეზღუდვის საჭიროებას და ამკვიდრებს მას, არამედ საკმაო სიზუსტით აყალიბებს შეზღუდვის მიზნებს, გარე ფარგლებს, უმთავრეს ღირებულებებსა და შეფასების კრიტერიუმებს.

მაგალითად, **გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს** სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში მოხსენებაში მითითებულია შემდეგი: „უმეტეს ქვეყანაში მოსამართლეებს უფლება არ გააჩნიათ ღიად გამოხატონ პოლიტიკური შეხედულებები, გაერთიანდნენ პოლიტიკურ პარტიაში, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური პარტიების შეკრებებზე, ან ჩართული იყვნენ რაიმე სახის პოლიტიკურ საქმიანობაში, რასაც შეუძლია ეჭვები გააჩინოს მათი დამოუკიდებლობის საკითხზე ან ზიანი მიაყენოს სასამართლოსადმი ხალხის ნდობას.“[3] იგი მოუწოდებს მოსამართლეს, სიფრთხილე გამოიჩინოს მედიასთან კომუნიკაციისას და თავი აარიდოს ისეთ გამოხატვას, რაც შეიძლება გახდეს ინტერპრეტაციის საგანი.[4]

ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს განმარტებით, მოსამართლემ მხოლოდ პოლიტიკური საქმიანობისაგან კი არ უნდა შეიკავოს თავი, არამედ პოლიტიკური კონტექსტის ან ბუნების მქონე დებატებში მონაწილეობისგანაც.[5]

ბანგალორის პრინციპების მიხედვით, „მოსამართლე არ უნდა ჩაერთოს საჯარო დებატებში. თუ მოსამართლე ჩართულია ამგვარ დებატებში, გამოხატავს თავის იდეებს წინააღმდეგობრივ საკითხებზე, აკეთებს განცხადებებს საჯარო პირების შესახებ, ან აკრიტიკებს მთავრობას ან ადამიანთა სხვა ჯგუფს, ეს მოსამართლე ვეღარ იქნება აღქმული როგორც მიუკერძოებელი მსაჯული პროცესში, სადაც სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული“.[6] „პოლიტიკური პარტიის ან ძალის სასარგებლოდ ნებისმიერი ქმედება ან განცხადება ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე ირჩევს მხარეს... მოსამართლე,

[3] Independence of judges and lawyers, Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Human Rights Council Forty-first session 24 June–12 July 2019; para. 73, ხელმისაწვდომია: https://undocs.org/A/HRC/41/48

[4] Buscemi v. Italy, no. 29569/95, ECHR 1999-VI, Human Rights Council, Report of the Special Rapporteur on the Independence of Judges and Lawyers, 29 April 2019.

[5] Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion no. 3 on the Principles and Rules Governing Judges' Professional Conduct, in Particular Ethics, Incompatible Behaviour and Impartiality paras. 30-31.

[6] Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct (September, 2007) para. 136.

რომელიც თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამოსახატად ირჩევს ისეთი მაღალი დონის პლატფორმას, როგორც სასამართლოა, ძირს უთხრის სასამართლო ხელისუფლებისა და მისი მიუკერძოებლობისადმი ნდობას.[7] მოსამართლის გამოხატვის თავისუფლება „ისე უნდა განხორციელდეს, რომ გაიზარდოს სასამართლოსადმი ნდობა როგორც საზოგადოების, ისე მხარეებისა და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მხრიდან."[8] „მოსამართლესაც გააჩნია გამოხატვის თავისუფლება, მაგრამ როდესაც იგი ამ უფლებას იყენებს, ეს უნდა გააკეთოს ისეთი ფორმით და მანერით, რომ დაიცვას მოსამართლის თანამდებობის ღირსება, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.[9] მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე, რათა არ შექმნას შთაბეჭდილება, რომ ის ხელისუფლებას იწონებს/მისი მომხრეა.. რომ მისი აზრი შეიძლება აღქმული იქნეს როგორც მთელი სასამართლო ხელისუფლების აზრი. [10]

მათ შორის, გამოკვეთილია პოლიტიკური გამოხატვის შეზღუდვის ფარგლები და შეფასების კრიტერიუმებიც. კერძოდ, პროფესიული, მათ შორის ეთიკურ ქცევასთან შეუთავსებელი საქციელისა და მიკერძოების მარეგულირებელი წესების თაობაზე **ევროპელი მოსამართლეების საკონსულტაციო საბჭოს** განმარტებით, „ ..მოსამართლემ თავი უნდა აარიდოს ნებისმიერ პოლიტიკურ საქმიანობას, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მის დამოუკიდებლობას ან ითამაშოს ნეგატიური როლი მისი მიუკერძოებლობის შესახებ ხალხის აღქმაში."[11] „საჯარო დებატებში ჩართულობის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ორი ფაქტორი უნდა იქნეს გათვალისწინებული, პირველი, შეიძლება თუ არა საჯარო დებატებში მოსამართლის მონაწილეობამ გამოიწვიოს მისი მიუკერძოებლობისადმი ეჭვი, და მეორე, შეიძლება თუ არა ამგვარმა ჩართულობამ მოსამართლე გახადოს პოლიტიკური თავდასხმის ობიექტი. ორივე შემთხვევაში მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს ამგვარ დებატებში მონაწილეობისაგან. სასამართლო სისტემისადმი ხალხის ნდობის შესანარჩუნებლად, მოსამართლეები არ უნდა ხდებოდნენ პოლიტიკური თავდასხმის სამიზნე, რამდენადაც ეს შეუთავსებელია ნეიტრალურობასთან, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას

[7] Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct, para. 65, 2007; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rdh72Z
[8] The Bangalore Principles of Judicial Conduct (2002), para. 2.2.
[9] The Bangalore Principles of Judicial Conduct (2002), para. 4.6.
[10] Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct (September, 2007) para. 138. Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion no. 3 on the Principles and Rules Governing Judges' Professional Conduct, in Particular Ethics, Incompatible Behaviour and Impartiality para. 34.
[11] Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion no. 3 on the Principles and Rules Governing Judges' Professional Conduct, in Particular Ethics, Incompatible Behaviour and Impartiality, para. 50. European Charter on the Statute for Judges, DAJ/DOC (98) 23, para. 4.3.

მოეთხოვება“. [12] „მოსამართლემ თავი უნდა აარიდოს არა მარტო პოლიტიკურ საქმიანობას, აგრეთვე პოლიტიკური კონტექსტის ან პოლიტიკური ბუნების დებატებსაც“[13] „მოსამართლე ნებადართულია საჯარო განცხადება გააკეთოს, თუკი ის მიზნად ისახავს, დაიცვას სასამართლოს ინსტიტუცია, ადამიანის უფლებები ან სამართლის უზენაესობა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ზომიერი უნდა იყოს, რათა მისი აზრი არ ქმნიდეს განცდას, რომ ის აფილირებულია კონკრეტულ საკითხთან ან პოლიტიკურ მიკერძოებასთან. .. კრიტიკაზე პასუხისგან თავი უნდა შეიკავოს“.[14]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალი კი ადგენს არა მარტო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად (კონვენციის მე-10 მუხლი), არამედ ადგენს დაბალანსების საჭიროებას ინდივიდის უფლებასა და დემოკრატიული სახელმწიფოს ინტერესებს შორის. მისი განმარტებით, მართალია მოსამართლის სტატუსი ავტომატურად არ გულისხმობს ყოველგვარ შეზღუდვას, მაგრამ მან თავი უნდა აარიდოს ისეთი აზრების გამოხატვას, რომელიც აღძრავს ეჭვებს სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობისადმი. [15]

საგულისხმო განმარტებები აქვს გაკეთებული **ვენეციის კომისიასაც:** „პოლიტიკური დებატების კონტექსტში ყოველი გამონათქვამის შეფასებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული შიდა პოლიტიკური ფონი და დისკუსიის მნიშვნელობა. მოსამართლე უნდა მოერიდოს ყველა ისეთ გარემოებას, რაც მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას საეჭვოს ხდის. ამიტომაც არის, რომ ევროპული ქვეყნების უმეტესობა კრძალავს მოსამართლეთა პოლიტიკაში ჩართულობას“. [16]

ასევე გამოკვეთილია, რომ შეზღუდვა არ არის აბსოლუტური, რომ მოსამართლეობა არ გულისხმობს მათთვის გამოხატვის თავისუფლების სრულად

---

[12] The Opinion no. 3 of the Consultative Council of European Judges, on the principles and rules governing judges' professional conduct, in particular ethics, incompatible behaviour and impartiality, para. 31, Strasbourg, 19 November 2002. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3b5LiDi

[13] Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion no. 3 on the Principles and Rules Governing Judges' Professional Conduct, in Particular Ethics, Incompatible Behaviour and Impartiality paras. 30-31.

[14] Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion no. 3.

[15] *Wille v. Liechtenstein* [GC], no. 28396/95, ECHR 1999-VII, para. 64.

[16] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) REPORT ON THEFREEDOM OF EXPRESSION OF JUDGES Adopted by the Venice Commission, a its 103rd Plenary Session
(Venice, 19-20 June 2015), para. 77; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2NWyS8l; General comment No. 25 (1996) on participation in public affairs and the right to vote, para. 12. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3raWZOC

ჩამორთმევას და რომ მათ შეუძლიათ ისაუბრონ სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებზე, სასამართლოს რეფორმისა და ამ სფეროში საკანონმდებლო პროექტების თაობაზე,[17] თუმცა სიფრთხილის ვალდებულება კვლავ ძალაშია, რადგან გამოთქმული მოსაზრება შეიძლება გახდეს კონკრეტული საქმეებიდან მოსამართლის ჩამოცილების საფუძველი. [18] ევროპელი მოსამართლეების საკონსულტაციო საბჭოს აზრით, მოსამართლეს შეუძლია კანონმდებლობის გაკრიტიკება, თუ ის კონსტრუქციულია;[19] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მოსამართლეებზე დაკისრებულმა შეზღუდვამ არ უნდა დაარღვიოს გამოხატვის თავისუფლების არსი.[20]

არაერთ ევროპულ ქვეყანას შემუშავებული აქვს სპეციალური კანონმდებლობა ეთიკური სტანდარტების შესახებ, რომელიც არეგულირებს **მოსამართლის ქცევას სოციალურ მედიაში,**[21] რისი საჭიროებაც სულ უფრო აქტუალური ხდება. სამოსამართლო ქცევის შესახებ საყოველთაოდ აღიარებული ბანგალორის პრინციპებით აგრეთვე გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ ჩამოყალიბებულია ფუნდამენტური პრინციპები, როლებითაც უნდა იხელმძღვანელოს თითოეულმა მოსამართლემ თავის პირად და პროფესიულ ცხოვრებაში. მათი მიხედვით, მოსამართლის პირადმა მოსაზრებებმა თუ რწმენამ ნეგატიური გავლენა არ იქონიოს მის პროფესიულ ვალდებულებებზე, სოციალურ მედიაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი უნდა გამოხატავდეს სამსახურისადმი პატივისცემას, რათა შენარჩუნდეს და გაიზარდოს ხალხის ნდობა სასამართლო სისტემისადმი; თავიდან უნდა იქნეს აცილებული ნებისმიერი ონლაინ საქმიანობა, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისადმი ნდობას და დააზიანოს მართლმსაჯულების სისტემისადმი ხალხის ნდობა.[22]

არსებითად, მოსამართლის პოლიტიკური თვითგამოხატვის საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების შინაარსი და

---

[17] *Baka v. Hungary* [GC], no. 20261/12, 23 June 2016.

[18] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) REPORT ON THEFREEDOM OF EXPRESSION OF JUDGES Adopted by the Venice Commission, a its 103rd Plenary Session (Venice, 19-20 June 2015), para.41. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2NWyS8l

[19] Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion No. 18, The position of the Judiciary and its Relation with the other Powers of State in a Modern Democracy, 16 October 2015, para. 42.

[20] *Kudeshkina v. Russia*, no. 29492/05, 26 February, 2009, para. 85.

[21] ასეთი ქვეყნებია ავსტრია, ალბანეთი, უნგრეთი, მონტენეგრო, სლოვენია, გაერთიანებული სამეფო.

[22] Independence of judges and lawyers, Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers*, Human Rights Council Forty-first session 24 June–12 July 2019; para. 80, ხელმისაწვდომია: https://undocs.org/A/HRC/41/48

მოტივები სრულ თანხვედრაშია ზემოაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტებთან და დასანანია, რომ ისინი სათანადოდ არ არის წარმოდგენილი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

ბ) **დაბოლოს,** ვფიქრობ, არსებითი და ძალზე მნიშვნელოვანი იყო, მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ასევე განხილული ყოფილიყო სასამართლოს მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლების კონტექსტში. ნაჩვენები უნდა ყოფილიყო, რომ მოსამართლის პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დაბალანსებულია სასამართლოს/მოსამართლის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლების შეზღუდვით; სწორედ იმიტომ, რომ მოსამართლეს ეკრძალება საჯაროდ პოლიტიკური შეხედულებების აქტიურად გამოხატვა, მასვე ეკისრება ე.წ. თავშეკავების ვალდებულება, რაც მათ შორის, იმასაც ნიშნავს, რომ მოსამართლე უნდა მოერიდოს საჯარო დისკუსიებში მონაწილეობას, საზოგადოებრივი ინტერესის მწვავე საკითხებზე საკუთარი პოზიციების გამჟღავნებას, მედიასთან ურთიერთობას და თვით მის წინააღმდეგ გამოთქმულ კრიტიკაზე პასუხის გაცემას, შესაბამისად, შემცირებულია მის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლებიც, რაც იმას გულისხმობს, რომ მათ მიმართ დაუსაბუთებელი პერსონალური თავდასხმები, გამართლებულად არ მიიჩნევა. კარგი იქნებოდა ხაზგასმით თქმულიყო, რომ მოსამართლის პოლიტიკური თვითგამოხატვის, ისევე როგორც მათ წინააღმდეგ გამოხატულ კრიტიკაზე ადეკვატური პასუხის გაცემის უფლების შეზღუდვა, პირველ რიგში და უმთავრესად, სწორედ მოსამართლის მიმართ დასაშვები კრიტიკის (პოლიტიკოსებთან და სხვა საჯარო პირებთან) შედარებით მცირე ფარგლებით არის გაწონასწორებული. ამაზე აქცენტის გაკეთება კიდევ იმის გათვალისწინებით იყო მნიშვნელოვანი, თუ რაოდენ ფართოდ და უხეშად ილახება დღეს ეს ფარგლები საზოგადოების სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლების (პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები) მხრიდან. მოსამართლეთა მიმართ დასაშვები კრიტიკის შედარებით მცირე ფარგლებით მათი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დამაბალანსებელი მნიშვნელობის წარმოჩენა ძალზედ წონადი არგუმენტი იქნებოდა შეზღუდვის თანაზომიერების საჩვენებლად, მით უმეტეს, რომ ამ საკითხზე საერთო ევროპული მიდგომა ნამდვილად არსებობს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე

ევა გოცირიძე

ასლი დედანთან სწორია
საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს მდივანი

გიორგი თევდორაშვილი

სასამართლოს წევრი
ხელმძღვანელობა